ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 01 / 10 / 019
(გამარტივებული შესყიდვა)

ქ.თბილისი 03.01.2012 წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო (შემდგომში – შემსყიდველი ორგანიზაცია), მისი შესყიდვების სამსახურის უფროსის ლაშა მერაბიშვილის სახით და მეორეს მხრივ, შპს „იბერია ავტო ლენდი" (შემდგომში - მიმწოდებელი), მისი დირექტორის ლევან გაბუნიას სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის თ) ქვეპუნქტის და საქართველოს მთავრობის 2011 წლის 21 იანვრის №26 დადგენილების საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის წესით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

I. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია მომსახურების (შემდგომში – შესყიდვის ობიექტი) შესყიდვა.

1.2 მომსახურების შესყიდვა გულისხმობს შემსყიდველი ორგანიზაციის ბალანსზე რიცხული ავტომობილების: „მიცუბიში L–200" სახ.№HFH 177-ის და „მიცუბიში L-200" სახ.№BVB-075-ის ავტოტექმომსახურების შესყიდვას, შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნის საფუძველზე, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ფასთა ცხრილის (დანართი №1) შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და თან ერთვის მას.

1.3 ავტოტექმომსახურება, ასევე გულისხმობს დაზიანებული ავტო-ნაწილების შესაცვლელად, მიმწოდებლის მიერ საკუთარი სახსრებით შემსყიდველი ორგანიზაციისთვის ავტო-ნაწილების შეძენას საბაზრო ფასით შემდგომი ანაზღაურების პირობით.

II. შესყიდვის ობიექტის ღირებულება

2.1. ავტოტექმომსახურების ღირებულება ყოველი კონკრეტული შემთხვევისთვის განისაზღვრება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ფასთა ცხრილის შესაბამისად (დანართი №1), მხარეთა მიერ გაფორმებული „დეფექტური აქტის" საფუძველზე.

2.2 ხელშეკრულების 1.3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ავტოტექმომსახურების ღირებულებაში, დანართი №1-ით გათვალისწინებული ღირებულების გარდა, ასევე უნდა აისახოს მიმწოდებლის მიერ შეძენილი ავტო-ნაწილების საბაზრო ღირებულება მხარეთა მიერ გაფორმებული „დეფექტური აქტის" შესაბამისად.

2.3. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 5000 (ხუთიათასი) ლარს, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გათვალისწინებით, დღგ-ს ჩათვლით, რომლის გახარჯვაც მოხდება ეტაპობრივად, შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნის მიხედვით.

III. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი

3.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება 2012 წლის 3 იანვრიდან 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით არსებული პერიოდის განმავლობაში, შემსყიდველი ორგანიზაციის საჭიროებისამებრ, შემსყიდველი ორგანიზაციის ყოველი მოთხოვნიდან 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში. თუ ავტოტექმომსახურება ეხება ძრავის კაპიტალურ რემონტს, სამღებრო-სათუნუქე სამუშაოებს ან ადგილზე არ არსებულ სათადარიგო ნაწილით უზრუნველყოფას შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება ყოველი მოთხოვნიდან არაუმეტეს 20 (ოცი) კალენდარული დღის ვადაში.

3.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი.

IV. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მისი ფაქტობრივი მიწოდებისა და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

V. ანგარიშსწორების ფორმა, ვადა და ადგილი

5.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში, „საჯარო რეესტრის შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე მიღებული შემოსავლებით.

5.2. მიმწოდებელს ყოველი მოთხოვნის საფუძველზე მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულება აუნაზღაურდება უნაღდო ანგარიშსწორებით, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, მის მიერ შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის ვადაში.

5.3. ანაზღაურების ადგილია ქ.თბილისი.

VI. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი ორგანიზაცია და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.

6.2. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია:

- ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესყიდვის ობიექტის ღირებულება;
- წერილობითი ფორმით დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს რაიმე ნაკლის აღმოჩენის შესახებ.

6.3. შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს:

- განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე.

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

- მიაწოდოს შესყიდვის ობიექტი შემსყიდველ ორგანიზაციას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- შესყიდვის ობიექტის მიწოდებისას აცნობოს შემსყიდველ ორგანიზაციას ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ;
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

6.5. მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველ ორგანიზაციას შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

VII. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

ხელშეკრულების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის სამეურნეო სამსახურის სამეურნეო მუშაკი ზურაბ გლოველი.

VIII. გარანტია

მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მისი მიერ ამ ხელშეკრულების საფუძველზე გაწეული ავტოტექმომსახურება შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს.

IX. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

9.1. მხარეები პასუხს აგებენ ერთმანეთის წინაშე მათ მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის.

9.2. თუ ერთ-ერთი მხარე ხელშეკრულებაში მითითებულ ვადებში არ ასრულებს შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებულ ვალდებულებებს, მეორე მხარე წერილობითი ფორმით აფრთხილებს მას დაიცვას ხელშეკრულების პირობები.

9.3. გაფრთხილებიდან 5 დღის ვადაში ერთი მხარის მიერ ვალდებულებების კვლავ შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

9.4 მიმწოდებელს, მის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცდენის შემთხვევაში დაეკისრება პირგასამტეხლო შესაბამისი ვალდებულების ღირებულების 1 პროცენტის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

9.5 შემსყიდველ ორგანიზაციას ანგარიშსწორების ვადების დარღვევის შემთხვევაში დაეკისრება პირგასამტეხლო გადასახდელი თანხის 1 პროცენტის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

9.6. თუ ხელშეკრულების ერთ მხარეზე დაკისრებული პირგასამტეხლოს საერთო ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 3 (სამი) პროცენტს, ხელშეკრულების მეორე მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად ვადამდე შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება.

X. ფორს-მაჟორული სიტუაციები

10.1. მხარეები პასუხისმგებელნი არ არიან თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ის გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა: წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა, საომარი მოქმედებები, აგრეთვე სხვა წინასწარ გაუთვალისწინებელი, აუცდენელი, მხარეთა ნებისგან დამოუკიდებელი, ობიექტური გარემოებები რომლებიც უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

10.2. თუ ფორს-მაჟორული გარემოებების გამო სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობა გრძელდება ან აშკარაა რომ გაგრძელდება ორ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის მოთხოვნის უფლების გარეშე. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორის გარემოება, დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

XI. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

11.1. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ამ შემთხვევებშიც ხელშეკრულების ღირებულების გაზრდა დასაშვებია ხელშეკრულების ღირებულების 10 პროცენტის ფარგლებში

11.2. ხელშეკრულებაში ცვლილებების და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა თანხმობის შემთხვევაში. ნებისმიერი ცვლილება და დამატება ხელსეკრულების მეთერთმეტე მუხლის 11.1. პუნქტის გათვალისწინებით, შეიძლება შეტანილ იქნეს მხოლოდ წერილობითი ფორმით გაფორმებული შეთანხმებით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

XII. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაშია 2012 წლის 3 იანვრიდან და მოქმედებს 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

XIII. დავა და მისი გადაწყვეტის წესი

13.1. წამოჭრილი დავა ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყტდეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

13.2. თუ შემსყიდველი ორგანიზაცია და მიმწოდებელი მოლაპარაკებების დაწყებიდან 15 (თხუთმეტი) დღის განმავლობაში ვერ შეძლებენ შეთანხმების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

XIV. სხვა პირობები

14.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

14.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.5 მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ნებისმიერ დროს.

XV. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები, მხარეების წარმომადგენელთა ხელმოწერები, ბეჭდი

შემსყიდველი ორგანიზაცია:
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
უფლებამოსილი წარმომადგენლის სახელი და გვარი: ლაშა მერაბიშვილი
მისამართი: ქ.თბილისი, წმინდა ნიკოლოზის/ნ. ჩხეიძის ქ.№2
საბანკო რეკვიზიტები: ს.ს. „საქართველოს ბანკის“ ცენტრალური ფილიალი,
ა/ა№GE46BG000000113686601, ბ/კ BAGAGE22, ს/კ №202238621

შესყიდვების სამსახურის უფროსი ლ. მერაბიშვილი

მიმწოდებელი:
შპს „იბერია ავტო ლენდი“
უფლებამოსილი წარმომადგენლის სახელი და გვარი: ლევან გაბუნია
მისამართი: ქ. მცხეთა, დავით აღმაშენებლის ქუჩა
საბანკო რეკვიზიტები: ს.ს. „საქართველოს ბანკის“ ცენტრალური ფილიალი,
ა/ა№GE59BG0000000182943300, ბ/კ BAGAGE22, ს/კ №236095177

დირექტორი ლ. გაბუნია

ფასთა ცხრილი დანართი №1

№	სამუშაოს აღწერილობა	მიცუბიში L-200 სახ.ნომრით HFH-177 მიცუბიში L-200 სახ.ნომრით BVB-075	
		რაოდენობა 1ც,1ლ,1კომ	მომსახურება (შეცვლა)
I	*საავალი ნაწილის შეკეთება*		
1	გადამცემთა კოლოფის მოხსნა დაყენება		300.00
2	საჭის მექანიზმის მოხსნა-დაყენება		300.00
3	წინა სამუხრუჭე ხუნდები	1კომპ	25.00
4	უკანა სამუხრუჭე ხუნდები	1კომპ	40.00
5	წინა ამორტიზატორი	1 ცალი	50.00
6	უკანა ამორტიზატორი	1 ცალი	25.00
7	ნახარის მილისების მ/დ		80.00
8	ჯვარედინის მ/დ		60.00
9	შეჭიდულობის ქუროს დისკის მ/დაყენება		50.00
10	შეჭიდულობის ქუროს დისკის აღდგენა		150.00
11	საავალი ნაწილის შეზეთვა-შეპოხვა	1კომპ	25.00
12	ვულკანიზაცია-ბალანსირება (1ც)	(1ც)	9.00
13	გარეთა ყუმბარის მოხსნა-დაყენება		60.00
14	შიდა ყუმბარის მოხსნა დაყენება		60.00
15	ყუმბარის პილნიკი	1 ცალი	35.00
16	ზედა ბურთისას მ/დ		30.00
17	ქვედა ბურთისას მ/დ		50.00
18	ქვედა გიტარის მ/დ		80.00
19	ზედა გიტარის მ/დ		50.00
20	სამუხრუჭე დისკის შეცვლა	1 ცალი	30.00
21	საჭის მექანიზმის გამწეების (უდარნის) შეცელა		30.00
22	გამწევის დაბოლოების (ნაკანეჩნიკის) შეცვლა		15.00
23	წინა ხიდში ზეთი	1 ცალი	20.00
24	უკანა ხიდში ზეთი	1 ცალი	20.00
25	ტრანსმისიის ზეთი	1 ცალი	20.00
26	რაზდატკის ზეთი	1 ცალი	20.00
27	სამუხრუჭო სისტემის დაჰაერება	1კომპ	60.00
28	სამუხრუჭო დისკის აღდგენა	1 ცალი	30.00
29	წინა სტაბილიზატორის (სუხოის) რეზინები	1 ცალი	15.00
30	წინა სტაბილიზატორის (ლინკის) სტერჟინი	1 ცალი	20.00
31	რაზდატკის ბალიში	1 ცალი	20.00
32	გადაცემათა კოლოფის ბალიში		40.00
33	წინა მორგვის (სტუპიცა საკისარით) შეცვლა		80.00
34	თვლების შეყრა (რაზვალი)		35.00
2	*ძრავის სარემონტო სამუშაოები*		
35	ძრავის კბილანა და ბალანსირის ღვედების მ/დ	1კომპ	350.00
36	საწვავის სისტემის რეგულირება	1კომპ	90.00
37	ჰაერის ფილტრის შეცვლა	1 ცალი	-
38	საწვავის ფილტრის	1 ცალი	40.00
39	ანთების სანთლების (გამათბობელი) შეცვლა	1 ცალი	20.00

40	კონდიციონერის ფილტრის შეცვლა		0.00
41	ძრავის ზეთის ფილტრი	1კომპ	15.00
42	ძრავის ზეთი		
3	*ელექტრო სამუშაოები*		
43	სტარტერის (ამძრავის) მოხსნა-დაყენება		80.00
44	სტარტერის (ამძრავის) დაშლა-აწყობა		100.00
45	გენერატორის მოხსნა-დაყენება		80.00
46	გენერატორის დაშლა-აწყობა		120.00
47	ელ. გაყვანილობის დიაგნოსტიკა კომპიუტერზე		30.00
48	წინა საქარე მინის საწმენდი ჩოთქები	1კომპ	0.00
49	აკუმლატორის შეცვლა		0.00
50	საბურავის გამოცვლა (1ც ბალანსით)		9.00
51	ანტიფრიზი	1კომპ	15.00
52	რესორის რეზინები	1 ცალი	10.00
53	წინა საქარე მინა	1 ცალი	220.00
54	წინა სამუხრუჭე დისკის გაჩარხვა	1 ცალი	30.00
55	წინა ფარის ნათურა	1 ცალი	8.00
56	უკანა მუხრუჭის ნათურა	1 ცალი	8.00

შ.პ.ს "იბერია ავტო ლენდ

დირექტორი **ლევან ქაბუნია**